პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 20 (13414) | სამშაბათი, 25 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ნომერშია:

- პარტიის XXIII ყრილობას ღირსეული შეხვედრა
- სოფლად ჩქეფდეს კულტურული ცხოვრება
- ჩვენი პლანეტის დღე
- ახალი ამბები

თეთრწყაროელ ინიციატორთა ნარჩენები

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის შეესრულებინათ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები, უკვე პირველი წარმატება მოიპოვეს.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბექაურმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. ელბაქიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. თეთრუაშვილმა აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას, რომ თეთრწყაროელებმა 22 იანვრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის დამზადების გეგმა; სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.000 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.600 ცენტნერისა. დამზადებული პროდუქცია მთლიანად საუკეთესო და მაღალი ნაკვებობისაა.

• ინიციატორთა პასუხად

მივცეთ დედასამშობლოს კვების მეტი პროდუქტები!

ა. მექვაბიშვილი,
საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი

ადიგენის რაიონის მშრომელები, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის, თეთრწყაროელთა მაგალითისამებრ ვალდებულებას კისრულობენ:

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნამდე ოცი დღით ადრე — 10 თებერვლისათვის სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.050 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ბიგელი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.030 ცენტნერისა. ადიგენელები ყრილობის გახსნის დღისათვის სახელმწიფოს მიჰყიდიან 3.650 ცენტნერ რძეს ნაცვლად 3.580 ცენტნერისა, 75 ათას ცალ კვერცხს ნაცვლად 65 ათასი ცალისა; ამავე პერიოდში გადაბარებით შესრულდება ტყავ-ნედლეულის დამზადების ნახევარი წლის გეგმები.

ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამჟამად იბრძვიან პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

ადიგენისა და მოხის საბჭოთა მეურნეობებმა, უდის, ირლის, სმადის და ხოლაჯურის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 5-10 პროცენტით შეამცირონ მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება.

უ. ხანიკაევი,
საქართველოს კპ ჯავის რაიკომის პირველი მდივანი

თეთრწყაროელთა მაგალითისამებრ რაიონის კოლმეურნეობათა შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალება, სახელმწიფოს მიეყიდა 576 ცენტნერი ხორცი. 25 თებერვლისათვის კოლმეურნეობები გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდიან 300 ცენტნერ ხორცს.

წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმების შესრულებაც. რაიონმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამამზადებელ პუნქტებს უნდა ჩააბაროს 1.294 ცენტნერი რძე, 22 იანვრისათვის მიყიდული იყო 800 ცენტნერი, კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ვადაზე ადრე, 25 თებერვლისათვის სამშობლოს დამატებით მისცენ 250 ცენტნერი რძე.

ჯავა მთიანი რაიონია. მიუხედავად ამისა, წელს თბილი ამინდია. კოლმეურნეობები დიდი ხანია შეუდგნენ გაზაფხულის სამუშაოებისათვის მზადებას. მზად გვაქვს სათესლე მასალა, წესრიგში მოგვყავს ტექნიკა. მალე თესვას დავიწყებთ.

სოფელს სილამაზე, კულტურა ამშვენებს

დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში. საქართველოს მშრომელთა გულში ჯერ არ განელებულა ის სიხარული და აღფრთოვანება, ჩვენი რესპუბლიკის მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოებამ რომ გამოიწვია. ახლა ჩვენი ხალხი უფრო მეტი გატაცებით და ხალისით შრომობს მინდვრებსა და პლანტაციებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში. სავსებით ბუნებრივია, ყველას სურს მთავრობის მაღალ ჯილდოს ახალი წარმატებებით უპასუხოს, სკკპ XXIII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას ახალი გამარჯვებებით შეეგებოს.

ჩვენი ქვეყნის ძლიერების ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო იზრდება ხალხის კეთილდღეობაც, მატულობს მისი მომთხოვნელობა. ვინც დოვლათსა და სიმდიდრეს ქმნის, ის კარგადაც უნდა ცხოვრობდეს. ხალხის კეთილდღეობა ჩვენი პარტიის მთავარი საზრუნავია. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ჩვენში წელიდანწლამდინ უჭირბესდება მშრომელთა ცხოვრების დონე, მაღლდება მათი კულტურა, მდიდრდება სულიერი სამყარო.

დღეს ადამიანები არა მარტო იმაზე ფიქრობენ, რომ კარგი ბინა ჰქონდეთ, მოხდენილად ჩაიცვან. მათ სურთ კარგადაც დაისვენონ, გაერთონ, სურთ ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს სოფელი, უბანი, სადაც ისინი ცხოვრობენ, ჰქონდეთ კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა და ნაყოფიერი დასვენებისა და გართობის სხვა აუცილებელი კერები.

მშრომელთა შინაარსიანი დასვენებისა და გართობის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი აკისრიათ სოფლის კულტურის კერებს. ისინი მოწოდებული არიან მტკიცედ ამოუდგნენ მხარში პარტიულ ორგანიზაციებს ჩვენი მშრომელების, განსაკუთრებით კი ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, ყოველმხრივ დაეხმარონ მათ სახოგადოებრივი და შრომითი აქტივობის გაძლიერებაში.

ამ ამოცანის შესრულებას სოფლის კულტურის კერები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მუშაობას ისე მოაწყობენ, რომ მშრომელთა თავმეყრის საყვარელ ადგილად გადაიქცევიან. ადამიანს მაშინ მიუხარია კულტურის სახლსა თუ ბიბლიოთეკაში, როცა აქ შინაარსიანი დასვენება ელის. — კონცერტი, წარმოდგენა, საინტერესო ლექცია, წიგნი და სხვ.

სოფლის კულტურის კერები თავიანთ მოღვაწეობას მხოლოდ ვიწრო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით არ უნდა ფარგლავდნენ. ამავე დროს ისინი უნდა იყონ ისეთი მნიშვნელოვანი ინიციატივის წამომწყებნი, როგორიც არის სოფლის კეთილმოწყობაზე, მისი კულტურის ამაღლებაზე, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

სოციალისტურმა სოფელმა ძირფესვიანად შეიცვალა სახე. დღეს ჩვენი სოფელი არაფრით არა ჩამოვარ ქალაქებიდან. ეს ბევრ ადგილებზე: არ კმარა მხოლოდ კარგი ნაგებობა გვქონდეს სოფლის კლუბისათვის, ბიბლიოთეკისათვის, მთავარია ეს კარგი ნაგებობანი შესაფერისად გამოვიყენოთ. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ზოგ სოფელში ნახავთ შესანიშნავ კულტურის სახლს. სოფლის კლუბს, სადაც, სამწუხაროდ მუშაობა ჩაშლილია და იქ არავინ დადის. ზოგჯერ ეს საუცხოო შენობები საწყობებად არის გადაქცეული. ბოლნისის რაიონის სოფელ იმირასანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბის შენობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწყობად აქციეს, ხოლო ამავე რაიონის სოფელ ბალიეის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობა კლუბს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად იყენებს.

ჩვენი მუშაკები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაზე რომ ფიქრობენ, ეს ისეც უნდა იყოს და კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ყოველთვის გულმოდგინედ როდი ზრუნავენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ცენტრების კეთილმოწყობას, მშრომელთა დასვენების გონივრულ ორგანიზაციას, იმას, რომ დავეხმაროთ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, ახალგაზრდობას გამოიყენონ მინდვრებსა და ფერმებში მუშაობისაგან თავისუფალი დრო სწავლისათვის, პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და კულტურული მორიზონტის გაფართოებისათვის.

გორელი, ზუგდიდელი და თელაველი მშრომელების თანხლობის ამბავი გამოქვეყნდა გაზეთებში და მას მოწონებით შეხვდნენ ჩვენი სოფლის მშრომელები.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების შენებლობაზე რომ ვლაპარაკობთ, აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას: არ კმარა მხოლოდ კარგი ნაგებობა გვქონდეს სოფლის კლუბისათვის, ბიბლიოთეკისათვის, მთავარია ეს კარგი ნაგებობანი შესაფერისად გამოვიყენოთ. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ზოგ სოფელში ნახავთ შესანიშნავ კულტურის სახლს. სოფლის კლუბს, სადაც, სამწუხაროდ მუშაობა ჩაშლილია და იქ არავინ დადის. ზოგჯერ ეს საუცხოო შენობები საწყობებად არის გადაქცეული. ბოლნისის რაიონის სოფელ იმირასანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბის შენობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწყობად აქციეს, ხოლო ამავე რაიონის სოფელ ბალიეის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობა კლუბს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად იყენებს.

ჩვენი მუშაკები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაზე რომ ფიქრობენ, ეს ისეც უნდა იყოს და კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ხალხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ყოველთვის გულმოდგინედ როდი ზრუნავენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კულტმასობრივი მუშაობის გაშლას სოფლად ზამთრის დღეებში. ამ პერიოდში, როცა სოფლის მშრომელებს შედარებით მეტი თავისუფალი დრო აქვთ, კულტურის ფრონტის მუშაკები უნდა დაეხმარონ მათ შინაარსიანად და ნაყოფიერად გამოიყენონ ეს დრო დასვენებისა და სწავლისათვის, ჩაებან ისინი აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ წრეებში, აჩვენონ სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, მოაწყონ მათი განხილვა და ა. შ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ყოველი სოფლის კლუბი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ცენტრი გახდეს.

სოფლის სიკეთესა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობაზე რომ ვლაპარაკობთ, შეუძლებელია დავივიწყოთ **ფიზკულტურა და სპორტი.** კომუნისტური საზოგადოების შენებლობაში დიდი როლი ენიჭება საბჭოთა ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების სრულყოფას. ფიზიკური კულტურა და სპორტი ამ დიდი ამოცანის გადწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. სოციალისტურ სოფელში ყველა პირობა იძლევა, რომ უფრო ფართოდ გაიშალოს მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა, სასპორტო ბაზების შენებლობა, ოღონდ საჭირო ამ საქმეს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები და ადგილობრივი საბჭოები.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ბარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზიანის, ნინოწმინდის კოლმეურნეობა, ბერძნის რაიონის ვარაქეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა ინიციატივა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომპლექსური სასპორტო ბაზების და ნაგებობათა საკუთარი სახსრებით მშენებლობის შესახებ, აგრეთვე სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ინიციატორთა მაგალითისამებრ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა გაიშალოს მუშაობა სასპორტო ბაზების მოწყობისა და სპორტის სხვადასხვა სახეში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმისათვის. საქმე ისე უნდა წარმართოს, რომ ყოველ სოფელში ახალგაზრდებს არა მარტო კარგი სასპორტო მოედანი ჰქონდეთ. არამედ მყავდეთ საკუთარი სპორტსმენებიც — ფეხბურთის, კალათბურთის და სხვა გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლა სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ახლა ყოველ სოფელში მრავლად არიან განათლებული ადამიანები, ჩვენი ინტელიგენციის ეს კეთილდღეობა რომ ვთქვათ — მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები. სპორტსმენები, რომლებიც არა მარტო ხალისით ჩაებმებიან ოვითმოქმედ წრეებში, არამედ შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ ამ წრეებს, გამოვიდნენ მოხსენებებით, ლექციებით, უხელმძღვანელონ ფიზკულტურულ კოლექტივებს და სხვ.

მთავარია, არ მოვადუნოთ ყურადღება ამ საქმისადმი. სოფლის პარტიული ორგანიზაციები, ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ სოფლის ინტელიგენციის მოზრდილ არმიას, აქტიურად დარაზმონ ისინი სოფლად კულტურულ-მასობრივი მუშაობის საინტერესოდ და შინაარსიანად გაშლისათვის.

საბჭოთა ადამიანის ცხოვრება ლამაზი და შინაარსიანი უნდა იყოს. ყოველი წარმატება შრომაში თავის გამოხატულებას უნდა პოულობდეს ცხოვრების შინაარსში. ადამიანს, ქალაქში ცხოვრობს იგი თუ სოფელში, ნაყოფიერი შრომის შემდეგ უნდა შეეძლოს შინაარსიანად დასვენოს, ამისათვის ყველა პირობა უნდა შეიუქმნათ.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა 19 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში საუბრისათვის მიიღეს კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი ე. პაპაიოანუ და კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ა. ფინტრასი.

შეხვედრის დროს კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს გააცნო კვიპროსში შექმნილი ვითარება და ის, თუ როგორ იბრძვის კვიპროსის ხალხი კვიპროსის საშინაო საქმეებში ნატოს იმპერიალისტური წრეების ჩარევის წინააღმდეგ, რომლებსაც კვიპროსის თავიანთ სამხედრო ბაზად გადაქცევა სწადიათ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კვიპროსელთა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, მოითხოვს უცხოთის მთელი ჯარების გაყვანას და კვიპროსში სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, შეზღუდვების გაუქმებას, რომლებიც კვიპროსელ ხალხს თავს მოახვიეს ციურიხ-ლონდონის შეთანხმებებით. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ კვიპროსის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას და კიდეგაც უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით, გარედან ჩაურევლად მთელი კვიპროსელი ხალხის—ბერძნების და თურქების ინტერესების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესაბამისად, რაც შეეხება ქვეყნის საშინაო წყობილებას, ეს საკითხი შეუძლია გადაწყვიტოს მხოლოდ კვიპროსელმა ხალხმა.

კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის დელეგაციამ ერთხელ კიდევ მზურვალე მადლობა გადაიხადა იმ დიდი დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა ხალხი უწევს კვიპროსის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის წარმომადგენლებმა გულისწყრომით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისა და მათი დამჭაშების აგრესია ვიეტნამში, განაცხადეს, რომ ძმურ სოლიდარობას უწევენ გმირ ვიეტნამელ ხალხს. მათ დაადასტურეს თავიანთი პარტიების გადაწყვეტილება განაგრძონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, დაიცვან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობა მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტების საფუძველზე.

შეხვედრამ ამხანაგური, მეგობრული ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე მაქმეგზავრა

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 24 იანვარს იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის რომში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. კ. ლუტაკი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ბ. შაპოშნიკოვი.

„მეგობრობის“ უმცროსი ძმა

ბიევი, 22 იანვარი. (საკდესი). საყოველთაოდ ცნობილი ნავთობსადენი „მეგობრობა“ უმცროს ძმას იძენს. უკრაინის გაზშენმა მიიღო პირველი სამუშაო ნაკაზები ახალი საერთაშორისო გზსადენის ასაგებად, რომელიც მოკმედი ნავთობსადენის პარალელურად აიგება. 185 კილომეტრი სიგრძის ახალი არტერიის საბჭოთა ნაწილს სათავე ექნება ივან-ფრანკოს ოლქის ქალაქ დოლინაში. შემდეგ გზსადენი გადაკვეთს იმიერკარპატის ოლქს და გავა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე ას მეტრზე „მეგობრობის“ სამხრეთით.

შემდეგ მშენებლობას განაგრძობენ ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები.

მომავალში გზსადენის პირველ ხაზთან ერთად გაიყვანენ მეორეს, რომელიც საშესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გადიდდეს გაზის მიწოდება ჩეხოსლოვაკიისათვის და გადაკრის მთელი საბჭოთა იმიერკარპატის გაზიფიკაციის პრობლემას.

ყირგიზეთი ემზადება

ფრუნზე, 24 იანვარი. (საკდესის კორ.). „ეძღვნება სახელოვან იუბილეებს...“ რომანებით, ნოველებით, მოთხრობების კრებულებით ბრის მზარის ლიტერატურა ალნიშნავენ თავიანთი რესპუბლიკის, ყირგიზეთის კომპარტიის 40 წლისთავსა და საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

ამ თარიღებს ეძღვნება თვალსაჩინო პროზაიკოსის მამასალი აბდუქარიმოვის რომანი „ეკო“.

ყირგიზი ქალის რეგოლუციამდელ ცხოვრებას დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მომოვებულ ბედნიერებას ეძღვნება ტუგელბაი სიდიკბეკოვის ტრილოგია „ქალები“. უკვე გამოვიდა პირველი წიგნი. ავტორმა მეორე ნაწილიც დაამთავრა და ახლა მესამეზე მუშაობს. რესპუბლიკის სახალხო პოეტმა ალი ტოკომბაევმა დაამთავრა მუშაობა რომანზე „განთიადის წინ“. ეს ალის რომანი ლექსად, რომელიც ასახავს ეროვნულ-გამთავისუფლებელ მოძრაობას ყირგიზეთში და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას.

ლირიზსანიშნავი თარიღები განსაზღვრავენ ახლა ავრეთვე ყირგიზეთის ბევრი სხვა პროზაიკოსისა და პოეტის შემოქმედებათა ცხოვრებას.

მომბრძანებლისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში ჩაება თბილისს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივიც და შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები იმისათვის, რომ წელს დაზოგოს ერთი ტონა ნედლეული და დამატებით გამოუშვას 10 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

ამ ვალდებულების განხორციელებას დიდად შეუწყობს ხელს ფაბრიკის რაციონალიზატორთა წინადადებები, რომელთა ნარმოებაში დანერგვა არა მარტო გააუმჯობესებს ნაწარმის ხარისხს, არამედ საკმაო როდენობითაც დაზოგავს ნედლეულს და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას. ერთ-ერთი ასეთი სასარგებლო წინადადება წამოაყენეს რაციონალიზატორებმა — საამქროს ქვეოსტატებმა დავით ალიბეგაშვილმა და ვასილ გეგეშიძემ.

ქვემო სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი, როცა დ. ალიბეგაშვილი (მარცხნივ) და ვ. გეგეშიძე ამოწმებენ ახლად გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ზემო სურათზე კი ფაბრიკის მოწინავე მუშა ნანა გოგიაშვილია, რომელიც ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეღვინეთა და ავტომშენებელთა მეგობრობა

ბარბ საქმეს მიეცა დასაწყისი. ჭიათურელმა მეღვინეებმა შემოქმედებითი მეგობრობის ძაფები გაბეს ქუთაისელ ავტომშენებლებთან. ამ დღეებში მეღვინეთა დელეგაცია რომელსაც მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. გამყრელიძე ხელმძღვანელობდა, ესტუმრა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანას.

ავტომშენებლები გულთბილად შეხვდნენ მეღვინეებს, მიაცილეს ერთმანეთის შრომას, ყოფაცხოვრებას, საწარმოო გამოცდილებას.

ჭიათურელთა დელეგაცია გაეცნო საწარმოო თათბირების მუშაობას და სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას, შრომის დაცვას და უსაშიშრობის ტექნიკას. პროფკავშირულ და ეკონომიური ანალიზის ბიუროს მუშაობას, კულტმასობრივი მუშაობის საკითხებს.

საღამოს ავტომშენებლებმა კლუბში გაამართა მეგობართა შეხვედრა. ქუთაისელმა და ჭიათურელმა მეგობრებმა ურთიერთს გაუზიარეს თავიანთი საწარმოო და პროფკავშირული მუშაობის გამოცდილება.

ჩვენს ღიად საუბარში

საერთაშორისო ცხოვრება

ხელშეკრულება რატიფიცირებულია

ულან-ბატორი, 24 იანვარი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმმა მოახდინა სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაცია, იუწყება მონცამეს სააგენტო.

ინდირა განდიმ ფიცი დადო

დელი, 24 იანვარი. (საკდესი). დღეს ინდირა განდიმ ფიცი დადო როგორც ინდოეთის ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა. შემდეგ ფიცი დადეს მინისტრთა კაბინეტის წევრებმა.

ნიგერიის სამხედრო-საჰაერო ძალების ახალი სარდალი

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). ნიგერიის სამხედრო მთავრობის მეთაურმა და არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა აგიი ირონსიმ ნიგერიელი პოდპოლკოვნიკი კურუბო დანიშნა ნიგერიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად.

როგორც რეიტერის სააგენტოს ლაგოსელი კორესპონდენტი იუწყება, წინათ ეს პოსტი ეკავა დასავლეთგერმანელ პოლკოვნიკს.

◆

ალმოჩენილია!

პარიზი, 24 იანვარი. (საკდესი). ხმელთაშუა ზღვაში ნაპირიდან ცხრა კილომეტრზე ალმერიის (ესპანეთი) ჩრდილოეთით დიდ სიღრმეზე ალმოჩენილია „რადიოაქტიური ობიექტი“, ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. ვარაუდობენ, რომ რადიოაქტიობის წყაროა მეოთხე ატომური ბომბი, რომელიც ერთი კვირის წინათ დაიკარგა, როცა ამერიკის ბომბდამშენი შეეჯახა გამწყობ თვითმფრინავს.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, ამჟამად მიმდინარეობს მზადება ამ საგნის ზედაპირზე ამოსატანად.

ჯარების გაყვანის გეგმა შედგენილია

ყარაჩი, 24 იანვარი. (საკდესი). ტაშკენტის დეკლარაციის შესაბამისად თავდაპირველ პოზიციებზე, ჯარების დაბრუნების შესახებ მოლაპარაკების შემდეგ პაკისტანის არმიის მთავარსარდალი გენერალი მოჰამედ მუსა დელიდან რავალპინდიში დაბრუნდა.

დელიდან გაფრენის წინ გენერალი მ. მუსა შეხვდა ინდოეთის პრეზიდენტს ს. რადჰაკრიშნანსა და თავდაცვის მინისტრს ი. ბ. ჩავანს.

მ. მუსა გამოვიდა სრულიად ინდოეთის რადიოთი და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ დაამთავრეს თავდაპირველ პოზიციებზე ჯარების დაბრუნების გეგმის შედგენა.

ცვლიან ტყვეებს

ყარაჩი, 24 იანვარი. (საკდესი). როგორც ისოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის სააგენტო იუწყება, გუშინ რავალპინდიში დაბრუნდა პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების სამი მფრინავი, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ ინდოეთ-პაკისტანის შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

იდრე დელიში გაიგზავნა ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შვიდი ოფიცერი, რომლებიც ტყვედ წაიყვანეს შარშან სექტემბერში.

ეს ღონისძიებანი ხორციელდება ინდოეთისა და პაკისტანის ამასწინანდელი ტაშკენტის დეკლარაციის ფარგლებში.

შასტრის ნეშტს განგს მიაბარებენ

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). დღეს დელის ქუჩებში საარტილერიო ლაფეტით ჩაატარეს ურნა ინდოეთის განსვენებული პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის ნეშტით. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ურნას რკინიგზით ალაჰაბადში ჩაიტანენ, რათა შემდეგ განგის წყალს მიაბარონ.

ხვალ დილას ნეშტს მიაბარებენ მდინარე განგის წმინდა ადგილას, სადაც განგა ჯამნას ერთვის. სწორედ ამ ადგილას მიაბარეს წყალს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ნეშტი.

◆

რასკის განცხადება

ნიუ-იორკი, 24 იანვარი (საკდესი). გუშინ სატელევიზიო პროგრამით — „შეხვედრა პრესასთან“ — გამოვიდა სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის დასავლეთევროპელი მოკავშირენი გაგზავნიან ჯარებს სამხრეთ ვიეტნამის ომში მონაწილეობის მისაღებად. სახელმწიფო მდივანმა რასკმა თქვა, რომ ვაშინგტონი კვლავ განაგრძობს საომარ ოპერაციებს სამხრეთ ვიეტნამში.

◆

განდევნეს ამერიკელი კორესპონდენტი

კოლონუ, 24 იანვარი. (საკდესი). ნიგერიის ახალმა სამხედრო მთავრობამ განდევნა ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი დენის ნილდი. ნილდმა დაარღვია ჟურნალისტის ეთიკა და სხვადასხვა სენსაციურ ამბავს თხზავდა ნიგერიის მდგომარეობის შესახებ.

ავიაზაკური ტაქტიკა

ბონი, 24 იანვარი. (საკდესი). ამერიკის მხედრიონი სამხრეთ ვიეტნამში იყენებს „გადაუგალი მიწის“ ტაქტიკას. ამას წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „შპიგელი“. ჟურნალი ბეჭდავს ორ ფოტოსურათს. ერთ-ერთ მათგანზე აღბეჭდილია ამერიკელი ჯარისკაცი, რომელიც ცეცხლს უკიდებს ბრინჯის ყანას. მეორეზე — ორი ამერიკელი ავტომატმომარჯვებული დგას ვიეტნამის სოფლის ცეცხლმოკიდებული სახლების წინ.

დასავლეთგერმანელი ჟურნალისტი, ამ სტატიის ავტორი, აღწერს, თუ როგორ ეძებდნენ ამერიკელი ინტერვენტები სამხრეთვიეტნამელ პატრიოტებს საიგონის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონებში. მათ მოიხიბრიკეს ვრცელი რაიონი, მაგრამ ვერავინ იპოვეს. პატრიოტებმა ეშმაკურად მოატყუეს ამერიკელები.

მაშინ ამერიკის სარდლობის ბრძანებით ინტერვენტებმა დაიწყეს უფრო ფართო ოპერაცია ამ რაიონში. მათ ოპერაციისათვის გაგზავნეს 8 ათასი ჯარისკაცი, 200 ვერტმფრინავი, ბომბდამშენი, ტანკი და არტილერია. „ბ-52“ თვითმფრინავებმა, რომელთაც ბაზა გუამის კუნძულზე აქვთ, წესირებულად დაბომბეს ეს რაიონი, წერს სტატიის ავტორი. საქმე დაავირგვინეს პარაშუტისტებმა. დაანგრიეს ყველაფერი, რაც კი დადაუჩნა დაბომბვას. ამერიკელები ცეცხლს უკიდებენ სოფლებს, იყენებენ შხამიან გაზებს. დაწვეს ბრინჯის მარაგი. გაწყვიტეს პირუტყვი. ქიმიკატებით მოწამლეს სეხილის ბაღები.

სტატიაში ნათქვამია, რომ „გადაუგალი მიწის“ ტაქტიკას მომავალში უფრო მეტი ადგილი დაეთმობა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ გეგმებში სამხრეთ ვიეტნამის მიმართ.

ფასი 2 კაპ.

ვალიანი ცხოვრება

საქმიანად, ღრმა ანალიზით

დელეგატებს შესაძლებლობა ჰქონდათ კონფერენციის დაწყებამდე გასცნობოდნენ რაიონის მიღწეულთა გამოფენას, რომელიც სახელმწიფო თეატრის ვრცელ ფოიეებში იყო მოწყობილი. მათ ინტერესს იწვევდა ყველაფერი: ცეცხლები და ფაქტები, რეკლამები და ფოტოდოკუმენტები, დიაგრამები და ნატურალური ექსპონატები.

ამ მდიდარი მატერიალური და სულიერი სიკეთის დასთვალიერებელნი თვით მათი შემქმნელი ადამიანები, დღიურებული კონფერენციის მონაწილენი იყვნენ.

პირველად პარტორგანიზაციებს მახარაძის რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატებად წარმოეგზავნათ საზალხო მეურნეობისა და კულტურის საბჭოლოგანი წარმომადგენლები. 19 მათგანს მკერდზე უბრწყინავდა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი. მათ შორის ვხედავდით ცნობილი ნოვატორებისა და საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორების ტატანაძე ჩხაიძის, დარეჯან ტაკაძის, ლოლა გოგორიშვილის, სვეტლანან მუხაშვრილის, ვალილ ჯაბუნის, მიხეილ ორაგველიძის, ნაცვლობ სახეებს,

ვისაც კი რეგიონალურ-ლიტერატურის მაზრა ახსოვს (ასეთი ვეტერანებიც იყვნენ კონფერენციაზე), ვერ მალავდნენ გაკვირვებით გამოწვეულ სიხარულს. დღევანდელ მახარაძის რაიონს იცნობენ კარგად განვითარებული, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობით, მრეწველობით (ძირითადად მსუბუქი), ხალხის კულტურისა და ცხოვრების მაღალი დონით.

430-ზე მეტმა დელეგატმა ადგილები დაიკავა თეატრის დარბაზში, რომლის ჭერზე მხატვარს გურიის გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი სახელოვანი epizoდი გაეცოცხლებია. შეესაბამება ამ ძლიერ, თამამ ბეჯავ სურათს, და როცა გონების თვალით ისევ ჩვენს ფლეებს უბრუნდები, უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ ბობოქრობდნენ რევოლუციის გარიჟრაჟზე გურიის შეზრომელები, რატომ იდგნენ ისინი სამშობლოს დიადი მერმისისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მახარაძის რაიონის წარმატებები მთელ ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი. ეს საქართველოს ერთ-ერთი იმ მაღლიანი კუთხის ნაწილია, სადაც ბუნებას უხვად დაუბერტყავს თავისი კალთა. მაგრამ მარტო ბუნების სიკეთე რას იზამს (მით უმეტეს, რომ იგი არცთუ ისე იშვიათად ჭირვეულობს), რომ არ იყოს დაძაბული შრომა — ყველა სიკეთის წყარო. სწორედ ასეთი შრომის წყალობით გამოსტაცეს შარშან მახარაძელებმა ბუნებას იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც კი შეეძლო, მიუხედავად, იმისა, რომ ამინდი არ ანებივრებდა მათ.

შვიდწლედის დამამთავრებელ წელს რაიონმა მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 37.205 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დაამზადა 5.247 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 1.380 კილოგრამი რძე, ზოლო რძის საერთო წარმოების გეგმა 120,1 პროცენტით შესრულა.

რაიონის შრომელებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 26.2 ცენტნერი სიმინდი. მან ვადამდე შესრულეს სახელმწიფოს გეგმა-დაკვეთა, გადიდეს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები.

მოწინავე ხაზზე იდგნენ სამრეწველო საწარმოებიც, რომლებმაც 60 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ამასთანავე მრეწველობის მუშაკებმა ათმაღლეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, შეამცირეს მისი თვითღირებულება, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. უკანასკნელ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საცხოვრებელი შენობები, სკოლები, უნივერსალური მაღაზიები, საავადმყოფოები და მთელი რიგი სხვა ობიექტები.

ეს წარმატებები, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, დაკავშირებულია პარტიის რაიკომის, პირველადი პარტორგანიზაციების მრავალმხრივ მოღვაწეობასთან. პარტიული კოლექტივები რაზმავენ მასებს, წარმართავენ საქმეს, ამაღლებენ კომუნისტთა შეგნებულობას, განამტკიცებენ მათს დისციპლინას, იჩენენ ნაყლოვანებებისადმი შეურიგებლობას.

ახლა რაიონული პარტიული ორგანიზაცია 6.102 კომუნისტს აერთიანებს. დღითიდღე უმჯობესდება პარტიული ძალების განაწილება. კომუნისტთა ცხრა მეათედი უშუალოდ წარმოების სფეროშია დასაქმებული და მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. თოთიძემ და დელეგატებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში პარტიული მუშაობა უფრო ქმედითი, კონკრეტული და მიზანსწრაფული გახდა. ამას ხელს უწყობს ზომები, რაც პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტთა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი. ამას დიდად შეუწყო ხელი მეცადინეობის ახალმა პროგრამამ. დამახასიათებელია, რომ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში პოლიტიკური განათლების ქსელი აქტიურ მარკოგანიზებელ ძალად გადაიქცა. წრეების მსმენელები ანალიზს უკეთებენ საწარმოთა და კოლმეურნეობათა მუშაობას, სახავენ გზებს წარმოების შინაგანი რეზერვების გამოსავლენებლად.

ახალი მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა აგიტატორებისა და კულტსაგანმანათლებელ დაწესებულებათა მუშაკების საქმიანობაშიც. მათი მუშაობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

კონფერენციაზე ბევრი კარგი რამ ითქვა ასკანის კოლმეურნეობის პირველად პარტორგანიზაციის ბიუროს (მდივანი ნ. ჯაველიძე) მისამართით. პარტბიუროს კოლექტიური ხელმძღვანელობის ნამდვილი ორგანოა. იგი უნარიანად, საქმის ცოდნით წარმართავს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, სისტემატურად ზრუნავს კომუნისტთა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ასკანელი კომუნისტები ღრმად სწვდებიან წარმოებას, აკვლევენ და მოკმედებაში მოპყავთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის რეზერვები.

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ თავის ყოველდღიურ მოღვაწეობაში გამონახა მუშაობის ისეთი ფორმები, რომლებმაც ღრმად დაიინტერესა კომუნისტები. შედეგიც არ აყოვნებს. აქ წარმატებით წყვეტენ მეურნეობის წინაშე მდგომ გაზრდილ სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებს.

პარტიის რაიკომი მუდმივ ყურადღებას აქცევს თავისი დასაყრდენის — პირველადი პარტორგანიზაციების მოღვაწეობას, ზრუნავს მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. კომუნისტთა ინიციატივისა და თვითმოქმედების განსაკუთრებულად. პარტიული აქტივის სწავლებას თანმიმდევრული და სისტემატური ხასიათი აქვს. ამ მიზნით პარტიის რაიკომთან შექმნილია პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა, მეთოდური კაბინეტი, სისტემატურად ეწყობა ზონალური თათბირები და სემინარები.

მაგრამ კონფერენციის მიმდინარეობამ ცხადყო, რომ თვით ისეთი მოწინავე რაიონის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაშიც, როგორიც მახარაძეა, არის ხარვეზები და ნაკლოვანებანი.

კონფერენციის ტრიბუნიდან მკაცრად გააკრიტიკეს ჭანიეთის საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი გ. მახარაძე), რომელიც მუშაობაში სათანადო ინიციატივასა და მომთხოვნელობას ვერ იჩენს. ამან შეასუსტა პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა. დროის გაზრდილ მოთხოვნებს ვერ უპასუხებს ხვარბეთის, სილაურის, მერიის, წითელმთის საკოლმეურნეო, ბილეთის ჩაის ფაბრიკისა და ზოგიერთი სხვა პარტორგანიზაციის მოღვაწეობაც.

რაიკომის, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელის, ვალია, — აღნიშნავდნენ დელეგატები,—უფრო მეტად დაეხმაროს ჩამორჩენილებს, გაბედულად დაეყრდნოს პარტიულ აქტივს მინდობილი კონკრეტული საქმეების გადაწყვეტაში.

კონფერენციის მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა რაიონის ეკონომიკის წამყვანი დარგის — მეჩაიეობის ახლანდელი მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

აღინიშნა, რომ იმ დიდი წარმატების ფონზე, რაც რაიონმა მოიპოვა ჩაის წარმოების განუხრელი ზრდის საქმეში, არის ჩრდილოვანი ადგილებიც. შარშან 36 კოლმეურნეობიდან 7-მა ვერ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, რითაც მან სამშობლოს 385 ტონა ნედლეულის დაკლება. ნაკლოვანებანია ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების მოვლა-პატრონობისა და მავნებელ-დაავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ზოგიერთი კოლმეურნეობა მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ჩაის ფოთლის მექანიზებულად კრეფის საქმეს.

დელეგატი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. ჯაველი თავის გამოსვლაში შეეხო რაიონის პირობებში მეჩაიეობის ინტენსიურად წარმართვის ისეთ საკითხებს, როგორიც არის პლანტაციების სიმეჩხრის სრული ლიკვიდაცია და რწყვის ღონისძიებათა გაძლიერება. ორატორი აყენებს ჩაის პლანტაციებში ზედმეტი ტენის ლიკვიდაციის, მინერალური სასუქების გამოყენების, მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა და პერსპიექტიერ მომარაგებ ი ს გაუმჯობესების ამოცანებს, ეხება მეურნეობის სპეციალიზაციასა და დარგთა სწორ გადანაწილებას. დელეგატთა ინტერესი გამოიწვია ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის ი. გამყრელიძის გამოსვლამ. მან დააყენა ჩაის წარმოების შემდგომი ზრდის ისეთი პირველი რიგის საკითხები, როგორიც არის ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესება, ახალგაზრდა პლანტაციების ოვლის გაძლიერება, ჩაის პლანტაციების ნახევრად მძიმე გასხვლის მოწყობა, სასუქების კარტოგრამების მიხედვით გამოყენება, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს მეციტრუსეობის, მეაბრეშუმეობის, მეცხოველეობის განვითარებას, რის შედეგად სოფლის მეურნეობის ამ დარგებში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხია.

ბევრი დელეგატი თავის გამოსვლაში შეეხო რაიონის განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობის საკირბოროტო საკითხებს.

პარტიულ ფორუმზე სიტყვით გამოვიდა 16 კაცი. ცხადია, ეს ცოტა არ არის. მაგრამ საქმე მარტო გამოსულთა რაოდენობა როდია. სულ სხვა იყო კამათის ხასიათი, კონფერენციის მუშაობის სტილი. იგი არ ჰგავდა პარადულ თვითანგარიშებს. ადამიანები გამოდიოდნენ საქმის არსებითი მხარიდან, აყენებდნენ წინადადებებს, ანალიზს უკეთებდნენ მოვლენებსა და ფაქტებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ს. ძოწენიძე.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს შემდგომ აამაღლონ ეკონომიკასადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, გააუმჯობესონ ალმაზრდელობითი მუშაობა მშრომელთა ფართო მასებში, დარაზმონ ისინი ახალი, უფრო მნიშვნელოვანი მიჯნების ასათვისებად, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კპ XXIII ყრილობას.

ბ. ზუკაკიშვილი.
ბ. ჩხაიძე.

შრომაც, დასვენებაც!

სოფლის კულტურული ცხოვრება

ჭაღარა კაცმა სწრაფად ჩაირბინა აივნის კიბე და ორღობეში მიმავალ ციფერთვალებს გოგონას შეეკითხა:

— ახალი ხომ არაფერი მიიღე?

ქალიშვილმა შეკითხვა როდი გაიკვირვა:

— მივიღე, ძია ალექსი. მობრძანდით, წაიღეთ.

— ბარემ ახლავე წამოვალ, თორემ სხვები დამასწრებენ.

ეს საუბარი მე და მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე გიორგი ხუტაშვილმა სოფელ ვახიანში მოვისმინეთ. ის გოგონა მე პირველად სოფლის მაღაზიის ნოქარი მეგონა. არ გამკვირვებია, ალბათ იმ კაცს რაიმე საქონელი თუ უნდა-მეთქი, მაგრამ გიორგიმ ერთიც გამაცნო და მეორეც. ცისფერთვალება ქალიშვილი სოფლის ბიბლიოთეკის გამგე მარგო დალაქიშვილი აღმოჩნდა, ხოლო მეორე — კოლმეურნე ალექსი პატარკაციშვილი, წიგნის დიდი მოყვარული და აქტიური მკითხველი.

ცოდნის წყაროს ეძახიან ვახიანის სასოფლო ბიბლიოთეკას. მისი წიგნის ფონდი ხუთი ათასამდე ტომს შეადგენს. ეს ხომ უღრანი ტყეა, რომელშიც გზის გაკვლევა გამოცდილ მეგზურსაც გაუჭირდება, მაგრამ მარგო დალაქიშვილმა საკუთარი ხუთი თითივით იცის თვითეული წიგნის შინაარსი, იგი ბევრს კითხულობს, გულით და სულით უყვარს წიგნი— ცოდნის დედა და ყველაფერს აკეთებს, რომ ყველას შეაყვაროს იგი.

დიდხანს ვაკვალიერებდით მაღალ თაროებზე ჩამწკრივებულ წიგნებს. ბევრი ხმარებისაგან გაცრეცილა, მრავალ ადამიანს მის კითხვაში გასთენებია... უყურებ ასეთ წიგნს და ფიქრობ, რომ ყველა საოცრებათა შორის წიგნს მართლაც რომ ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

ბიბლიოთეკის კედელზე გაკრულია ლამაზად მოხატული სტენდი, საიდანაც გვიცქერიან ჩვენი სახელოვანი მწერლებისა და პოეტების საყვარელი სახეები, ჯკითხულობთ მათს აზრებს წიგნზე — ადამიანის უახლოეს მეგობარზე.

მარგო სულ ხუთი წელიწადია, რაც ბიბლიოთეკის გამგეა. სანამ სამსახურს დაიწყებდა, დაამთავრა კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი, ამჟამადაც სწავლობს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე. მთავარი, რასაც მან მიიღო, ის არის, რომ სოფელში დიდად გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა. — უწინ მე თვითონ მივედიდი მათთან სახლში, წიგნებს ვაძალებდი, ახლა თვითონ მაწუხებენ. ახალ წიგნებს რომ მივიღებთ, რიგი დგას ხოლმე, — გვეკითხება მარგომ და მიეხვდი, თუ რატომ ჩქარობდა ალექსი პატარკაციშვილი, როცა ბიბლიოთეკისაკენ მიაბიჯებდა. ალექსი კ" გამონაკლისი როდია. ჩვენ გადავსინჯეთ მკითხველთა აბონემენტები. სონა ბაბაშვილი ხანშესული ადამიანია, ბევრს შრომობს, მაგრამ წიგნს ხელიდან არ უშვებს, უკანასკნელ ხანს მას წაუკითხავს გ. აბაშიძის „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, ნ. ლისაშვილის „ეკეცხველი“ და ა. დიუმას „სამი მუშკეტერი“, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, თ. დრაიზერის „ კერი“ და სერვანტესის „დონ-ქიხოტი“... ყველა წიგნს ვერ ჩამოვთვლით, საოცარია დიდა სონას ენერგია!

ბევრს კითხულობენ კოლმეურნეები. ვახიანში, რომელიც ქსოფრისის კოლმეურნეობაში შედის, ასოციდაფერმერები კომლია, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი კი 350 კაცია. ამ ციფრს კომენტარი არ სჭირდება.

ბიბლიოთეკას ყავს აქტივისტები — წიგნებმის დამტარებლები. ზოგ მოხუცს ბიბლიოთეკაში მისვლა უნელდება, სწორედ აქ არის საჭირო სხვისი დახმარება. ჩვენ თვითონ ვნახეთ, როგორ ემზადებოდნენ ნინო დალაქიშვილი და ეთერ ყიფიანი წიგნების წასაღებად მკითხველთა ოჯახებში.

ბიბლიოთეკის გამგე და აქტივისტებმა ხშირი სტუმრები არიან ფერმისა და საკოლმეურნეო ზვრებისა. ბევრ სასარგებლოს აკეთებენ ბიბლიოთეკის საბჭოს წევრები — მასწავლებლები აბიბო გოგია, ქეთევან ეკალაძე, ნაზი ბედუკაძე, შურა კუდუხაშვილი. მათი მონაწილეობით ეწყობა მოხსენებები და საუბრები საინტერესო საკითხებზე.

ბიბლიოთეკასთან არსებობს სხვადასხვა წრეები, გამოდის კედლის გაზეთი, სამკითხველო მაგიდაზე აწყვია თვრამეტი დასახელების ტურნალ-გაზეთი, დარბაზში სიუფთავე და წესრიგია.

დაღამდება თუ არა, ბევრი მკითხველი ხალისით მოდის ბიბლიოთეკაში, სადაც ღიღინებს ლიტონის ღუმელი, სადაც აწყვია ასობით საინტერესო წიგნი... დიდხანს არ ქრება ელექტროშუქი...

ამით გვინდოდა დაგვემთავრებინა საუბარი ვახიუბნის ბიბლიოთეკის საქმიანობაზე, მაგრამ არ გამოდის, მკითხველს გული დავუწყვეტეთ იმის თქმით, რომ ბიბლიოთეკას საკუთარი ბინა არ გააჩნია, იგი შეხიზნულია ეკრძო სახლის ნახევრადსარდაფში.

ამას კი არავინ არ მოუწონებს არც სასოფლო საბჭოს და არც კოლმეურნეობას.

ბუხრანის სასოფლო კულტურის სახლში მაშინ მიგვიდით, როცა დრამატული წრის წევრები მორიგ რეპეტიციას ვადიოდნენ. მუხრანელ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებს ყოველთვის წარმატება აქვს. ერთმა თქვა კიდეც: — რაცა კულტსახლში „ხევისბერ გოჩას“, „ბლახის ნაანბობს“, „სიყვარულის მსხვერპლს“ ან „საზღვართან“ ეჩვენებენ, ბილეთების გადამყიდველები ხელს ითბობენენ. რა თქმა უნდა, ეს ხემრობით, სინამდვილეში ეს პიესები მაყურებელთა მოწონებით სარგებლობს.

დრამატულ წრეს ხელმძღვანელობს რეჟისორი გიორგი ჩხაიძე, რომელიც მუხრანში დაბადებულა და აქვე გაუტარებია ბავშვობა. ამჟამად თბილისში ცხოვრობს, მაგრამ მშობლიურ სოფელს მაინც ყურადღებას არ აკლებს.

მუხრანელებს უყვართ თავიანთი მახალობები ნინელი კალანდაძე, თენგიზ ფარჩუკიძე, გივი ჩიგუაშვილი, ვაჟა ჩოხელი, აბრო ალავერდოვი, კლიმენტი მაჩაიძე, ლუნა ხაჩიური, გივი ხუციშვილი, ვანო გალუსტოვი და სხვები.

არანაკლები სიყვარულით სარგებლობს კულტურის სახლთან არსებული მომღერალთა გუნდი, რომელსაც ეთერ სამჭკუაშვილი ლიტბარობს. მღერიან კოლმეურნე კირილე ჩუტუაშვილი და მასწავლებელი თენგიზ ფარჩუკიძე. გარმონის დაკვრაში ტოლი არა ყავს ფერმის გამგეს იაშა ორკოდაშვილს. მუხრანელები თავიანთ დადგმებსა და კონცერტებს უწვენებენ რაიონის სხვა სოფლებშიც.

კულტსახლთან შარშან შეიქმნა მოწინავე მეგვინახეთა გამოცდილების სკოლა, რომელსაც აგროეკონომისტი ი. ბერიაძე ხელმძღვანელობს. მისი თხოვნით მოწინავე კოლმეურნეებმა წარმოადგინეს წერილობითი მასალები იმ მეთოდებისა და ხერხების შესახებ, რომლებთაც წარმატებას აღწევენ. კოლმეურნეობის აგრონომმა შ. ხაჩიურმა შეაჯამა და განაზოგადა ყველა ეს მასალა.

კულტსახლის დარბაზში გამოფენილია სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების დაფა, მოწყობილია სტენდები „სოციალისტური შრომის შუქურები“, „დიდება თქვენ, მოწინავეებო!“ „ჩვენ გავიმარჯვებთ სოციალისტურ შეჯიბრებაში“, „მაღალი წარმატებებით შეეხვედეთ სკკპ XXIII ყრილობას!“ რადიომაუწყებლობის რედაქცია მსმენელებს მოუთხრობს მუხრანელ კოლმეურნეთა მრომის, შურისა და ენერგიის, ადამიანური ბედნიერებისა და ადამიანური ღირსების ბრძოლაზე.

ბიბლიოთეკასთან ეწყობა ადგილობრივ ავტორთა ლიტერატურული ალმანახი. ალმანახ „ბუბუნაში“ ბეჭდავენ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ ზეპირ ჟურნალს. სოფლის ლექტორიუმის წევრები, რომელთა რიცხვი ოთხმოცია, მართავენ ლექციებსა და საუბრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებზე. საბჭოთა ადამიანის მორალურ კოდექსზე.

მარნეულ აპრილში კულტსახლის მუშაკებმა (დირექტორი ი. ბლიაძე) სოფლის კლუბების საკავშირო ურთიერთგამოძახების მოწინააეთა შეკრების მონაწილეების მიმართვასთან დაკავშირებით ახალი ვალდებულებები იკისრეს. ბევრი რამ უკვე გაკეთდა სოფლის კულტურის ამაღლებისათვის. გალამაზდა და გამშვენიერდა მუხრანის ეკლესია. ამ მიზნით მოეწყო მასობრივი შაბათობები, დაიგო ათასობით ნარგავი, გამწვანდა კულტურის სახლის ეზო, ყოფაცხოვრებაში ფეხს იკიდებს ახალი ჩვეულება.

დიდი და ეკონომიურად მძლავრი სოფელია მუხრანი. აკადემიკოს კოლმეურნეობამ სახელი გაითქვა წარმოების მაღალი დონით, უხვი მოსავლით. კოლმეურნეობას ახლა შეუძლია ბევრი გააკეთოს სოფლის კულტურისათვის.

მით უფრო საწყენია, რომ კულტურის სახლის ახალშენი შენობა სრულიად არ შეეფერება მუხრანს და მის მდიდარ შესაძლებლობებს.

ვიწრო და მოუწყობელია სცენა, მცირეა მაყურებელთა დარბაზი, კულტსახლს არ გააჩნია საკმარისი ინვენტარი, სასოფლო ბიბლიოთეკა კულტსახლის შენობაშია მოთავსებული. მისმა გამგემ ლილი ასანაშვილმა შემოგვიჩივლა:

— ეს დარბაზი ჩვენი არ არის, ყოველდღე მემუქრებიან გაგიასახლებთო და არ ვიცი სად გამასახლებენ. ბიბლიოთეკაში შვიდი ათასი წიგნია, სად უნდა წავიღო? ამას წინათ სოფელში ერთი შენობა გათავისუფლდა, მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა დაიკავა, კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ალექსანდრე ბურდულამ მითხრა, სანამ შენობა თავისუფალი იყო, უნდა მიგეტანა წიგნები, იქ დაგეყარა და მერე ბომ არ გამოგასახლებდნენო.

მე და გიორგი ხუტაშვილმა, როგორც შევეძლო, ისე ვანუგეშეთ ბიბლიოთეკის გამგე, მაგრამ ცარიელი ნუგეში ბევრი ვერაფერი შველა.

— კულტურის დაწესებულებებს რატომ აკლიათ ინვენტარი? — შევეკითხე გიორგი ხუტაშვილს.

— მართალია, აკლიათ. შარშან, მაგალითად, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ 300 სკამზე მეტი ვერ შეეიძინეთ, მაშინ როცა ათას ხუთასზე მეტი სკამი გვჭირდება. ბევრ ბიბლიოთეკას, სამკითხველოს, კლუბს ბიუჯეტზე ფული აქვს, მაგრამ ინვენტარს ვერ იძენს, ნაღდ ანგარიშზე ყიდვა აკრძალულია, გადარიცხვით კი არავინ იძლევა...

დამაფიქრებელი ამბავია. ისე კი ყველამ იცის, რომ თუ მატერიალური ბაზა არ არის, ძალიან ძნელი და ზოგჯერ წარმოუდგენელიც კია კულტურული მუშაობის გაძღვერება.

ა. თოდუაძე.

მცხეთა. იანვარი.

* * *

სურათზე. მუხრანის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე ლ. ასანაშვილი.

ფოტო ვ. ქრისტაფორისა.

სოფელმა სახე იცვალა

□ **ყოველწლიურად** ზრდიან წარმატებებს სოფელ სოსანთეთის (ძ. ტყიბული) კოლმეურნეები. შარშან მათ გეგმაზე მაცილებით მეტი მოიყვანეს ჩაი, სიმინდი, მაღაჯარებით შეასრულეს საწელმწიფოსათვის ხორცისა და რძის კოდოფუძტების მიყიდვის ბებმეებიც.

არტელის ეკონომიკის განვითარების კვალობაზე იზრდება სოფლის მშრომელთა კეთილდეობაც. უკანასკნელ წლებში სოფელს შეემატა კლუბის ახალი შენობა, ბაისნა-ბურის საცხობი, მაღაზიები, მოასფალტდა გზები.

მალე მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი ახალი კაპიტალური ნაგებობა, როგორიც მოთავსდება საკავშირო და საქალაქო ბანკი.

ო. ბოჩელაშვილი.

□ **ცაბერის** რაიონის სოფლებში ლაჯანისა და ორბელში ამუშავდა ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურები. მთავრდება ასეთივე სადგურის აგება სოფელ ალპანაში.

□ **ჯავის** რაიონის სოფელ ხვწეში გაიხსნა ფართოეკრანიანი კინოთეატრი. სოფლის მშრომელებმა აქ პირველად ნახეს კინოფილმი „ფატმა“. (საქდინი).

კლუბიც არის და კლუბიც...

ბაღნარში, ახლადნაგებ თეთრ შენობასთან, მრავალი კოლმეურნე მოსულიყო. აქ იყვნენ მოხუცები, ახალგაზრდები, ჭაბუკები და ქალიშვილები. სოფლის კლუბში გამართულ კითხვა-პასუხის საღამოზე მშრომელთა წინაშე წარსდგნენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, პროკურორი და მოსამართლე, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები. მსჯელობა ბევრ საინტერესო საკითხს შეეხო. რამდენიმე საქირბოროტო პრაქტიკული საკითხი აქვე სოფლის სასარგებლოდ გადაიჭრა.

დამსწრენი კლუბიდან კმაყოფილი დაბრუნდნენ.

ეს იყო შარშან ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის კლუბში. ასეთი მოსაწონი, სოფლის მშრომელთათვის საჭირო ღონისძიება ზშირად ეწყობა დმენისელთა კლუბში.

მოსაღამოვდება. მინდვრებიდან დაბრუნებული კოლმეურნეები კლუბს მიაშურებენ. იმართება მოხსენებები, საუბრები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების კონცერტები. კლუბის გამგე მ. ჯანაევი სოფლის საყვარელი ადამიანი და მოწინავე აგიტატორია.

აი მეორე სანიმუშო კლუბიც. ლაპარაკია ამავე რაიონის სოფელ ქურთის კლუბზე. ქურთელი კოლმეურნეები ხშირად გატაცებით უსმენენ მომღერალთა გუნდს. გუნდის შემქნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო სოფლის კლუბის გამგე ბ. ბახსშვილი. აქაურ მოხუცებს, რომლებიც ამ გუნდში შეეფინა, ბევრჯერ დაუმსახურებიათ მოწონება მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რაიონულ თუ საოლქო დათვალიერებაზე.

როგორ არ მოგეწონება ასეთი კლუბები!

სამწუხაროდ, ასეთ კლუბებს ბევრს როდი შეხვდებით ცხინვალის რაიონში. აშვიათია სოფელი, რომ მას კლუბი არ ჰქონდეს, მაგრამ ყველა კლუბი როდი აკეთებს თავის საქმეს.

ჯერ თვით საკლუბო შენობების შესახებ.

ჩვენი სოფელი იზრდება, იფურჩქნება, ქალაქს უტოლდება. რამდენი საზოგადოებრივი თუ კოლმეურნეოა საკუთარი შენობა შენდება სოფელში! გულს ახარებს კეთილმოწყობილი ქუჩები და კოლმეურნეთა ახლადნაგები ლამაზი საცხოვრებელი სახლები. მაგრამ ამ წინსვლას, პროგრესს ჩვენი კლუბები ზოგჯერ ჩამორჩებიან. ისინი ზოგ სოფელში უღიმღამოდ გამოიყურებიან.

აი შედიხარ სოფელ ვანათში და უყურადღებას მიიპყრობენ საავადმყოფოს, სკოლის ლამაზი კაპიტალური შენობები, საუცხოოა მაღაზიაც. მაგრამ კლუბის შესახებ კარგს ვერაფერს იტყვი. მინგრეულ-მონგრეულია მისი შენობა. ახალგაზრდა ენერგიულ, ალალ ბიჭ ალექსანდრ ბერიძეს ბევრი ეფიქრა, ბევრი ეფიქრა, ბევრ ადგილი ელობა მიუნაცვალა, ბევრ ადგილ ეფიქრა, ბევრ ადგილ ეფიქრა, ბევრ ადგილ ეფიქრ

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ყრილობა

ბუდაპეშტი. აქ გაიხსნა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მეოთხე ყრილობა. 400-ზე მეტი დელეგატი ჩამოვიდა უნგრეთის ყველა კუთხიდან, რომ განიხილონ 1960 წელს გაბართული მესამე ყრილობის შემდეგ საზოგადოების მუშაობის შედეგები, დასახონ ახალი ამოცანები ორი ხალხის ძმური მეგობრობის განმტკიცების საქმეში და აირჩიონ საზოგადოების ახალი გამგეობა.

ყრილობაზე მოხსენება გააკეთა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ი. კრიშტოფმა. მან თქვა, რომ უნგრეთ მშრომელებს საბჭოთა ხალხი თავიანთ ყველაზე ახლობელ მეგობრად, საუკეთესო მოკავშირედ და ნამდვილ ძმად მიაჩნიათ.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის ზრუნვა, ბუნებრივია, არა მარტო ჩვენი საზოგადოების საქმეა. არამედ თითოეული უნგრელის კომუნისტური და ინტერნაციონალური მოგალეობაც არის, სოციალიზმის მშენებელი თითოეული პატიოსანი ადამიანის ამოცანაა, ხაზი გაუსვა ი. კრიშტოფმა. მისი განმტკიცება შეესაბამება ჩვენი ხალხის ინტერესებს, მთელი საერთაშორისო მუშათა მორწმუნის, მშვიდობისა და პროგრესის საქმის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის მთელი საშვიდობო საგარეო პოლიტიკა, განაგრძო ი. კრიშტოფმა, ეამხარატავს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. მშვიდობის ყველაზე საიმედო ბურჯია საბჭოთა კავშირი, რომელიც თავისი ძალიერებით უზრუნველყოფს მშვიდობისათვის ბრძოლის ხელსაყრელ პერსპექტივებს.

ი. კრიშტოფი შემდეგ შეეხო უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გაკრობის, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას. აღნიშნა ის დიდი როლი, რომელსაც უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება ასრულებს ძმური ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებაში. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, თქვა ი. კრიშტოფმა, უნგრეთის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა 2 ათასზე მეტი შეხვედრა საბჭოთა ტურისტებთან, მოეწყო ესტონური ბელორუსული და უკრაინული კულტურის დღეები, საზეიმო ვითარებაში აღინიშნა პუშკინის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, ბორკინის, ბორკინის და რუსული კულტურის სხვა კორიფეთა ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებული ეიბრსეულ-საზეიმო თარიღები.

რაც უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მომავალ ამოცანებს შეეხო, ორგანრმა ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოების საქმიანობაში დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის დღესასწაულისათვის მზადება. მოხსენების შემდეგ კონგრესზე დაიწყო კამათი.

ყველასათვის ცნობილია, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემის საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიქმნა, რომ კოლონიური სისტემის დანგრევა, იმპერიალიზმზე მიუსაჯანდაბეა განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის მსარდ ეკონომიურ, პოლიტიკურ, მორალურ და სამხედრო ძალიერებასთან, განაცხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფერენც სირმაიმ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყრილობაზე. საბჭოთა ხალხის დიდ ინტერნაციონალიზმს მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს განთავისუფლებულ, განვითარებად ქვეყნებს. საბჭოთა კავშირი თავის გამოცდილებას, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მოპოვებულ წარმატებებს უზიარებს სოციალიზმის მშენებელ ქვეყნებს. იგი იარაღითა და სამხედრო გამოცდილებით ეხმარება ხალხებს, რომლებიც სამარცლიან ომს აწარმოებენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტთა წინააღმდეგ. იგი დიდ დახმარებას უწევს ვიეტნამს იარაღით, სამხედრო აღჭურვილობითა და ომისა და მშვიდობიანი მშენებლობისათვის საჭირო სხვა მასალებით.

განვლილი 50 წლის გამოცდილება ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი პროგრესის მომხრე არ შეიძლება იყოს ის, ვინც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძვის.

უნგრელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობას საუკუნეულად უდგეს ადამიანური ერძნობები. ერთმანეთისათვის შექმნილმა უპირატესობებმა, რომელთა საფუძველია 21 წლის უშუალო პოლიტიკური, ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა. საბჭოთა კავშირის დახმარებამ დაარწმუნა უნგრელი ხალხი, რომ საბჭოთა კავშირი მისი ნამდვილი მეგობარია. (საკდესი).

სოციალისტური ქვეყნებში

საბჭოთა კავშირ-კუბის თანამშრომლობა

ჰავანა. კუბაში სულ უფრო ფართოვდება სხვადასხვა სასარგებლო მადნეულის საბადოთა ძიების სამუშაოები. განსაკუთრებით დიდი სამუშაოები წარმოებს ნიკელის ალმოსაჩენად. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში კუბელ მეგობრებს დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი.

ჰავანაში ხელშოწერილია კიდევ ერთი კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ 1966-1967 წლებში მოეწყოს საზღვაო გეოფიზიკური კვლევა კუბის ირგვლივ რეგიონალური გეოლოგიური აგებულების შესწავლისა და კუბის ნავთობიანობის პერსპექტივების გამორკვევის მიზნით. კვლევა სეისმური მეთოდით განხორციელდება.

საბჭოთა კავშირი ორი წლით გაგზავნის კუბაში სპეციალურ სეისმურ გემს „ლადიმერ ობრუჩევს", რომელიც აღჭურვილია უახლესი გეოფიზიკური აპარატურით, და სპეციალისტთა ჯგუფს. კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ ადრეთვე კუბელი სპეციალისტები. საბჭოთა და კუბელი სპეციალისტები შეადგენენ კუბისა და მისი საზღვაო სივრცის ერთიან ტექტონიკურ რუკას, გამოავლენენ ნავთობის ძიებისათვის ყველაზე პერსპექტიულ რაიონებს და განსაზღვრავენ ღრმა სადაზვერვო ბურღვის ფართობებს. (საკდესი).

ბოლივიის ეროვნული ბანკი

ლა-პასი. ბოლივიის ეროვნული ბანკი ეროვნულ ეკონომიკაში ეროვნული ბანკის ადგილის, ფუნქციებისა და ამოცანების ამოცანებზე ეროვნული ბანკის ორგანიზაცი



სასიხარულო ამბები

სტუმრად კოლმეურნეებთან

უცხოელი მეზღვაურები, რომლებიც ბათუმში ჩამოდიან, ცხოველ ინტერესს იჩენენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრებისადმი.

ამკარად რეიდზე იუგოსლავიის გემი „ლუბია“ იდგა. 19 მეზღვაური ინტერკლუბმა სტუმრად მახინჯაურის კოლმეურნეობაში წაიყვანა. მეგობრული და გულთბილი იყო მათი შეხვედრა კოლმეურნეებთან. სტუმრები აღფრთოვანა ჩაის, ციტრუსისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა სათუთად მოვლილმა პლანტაციებმა.

საღამოს კი, სუფრას რომ შემოეხდნენ, ბოცმანმა მ. სტეროკიჩმა მეგობრობის სადღეგრძელო წარმოთქვა.

— მეათედ ვარ საბჭოთა კავშირში, — თქვა მან, — თქვენთან ყოფნა მუდამ სიხარულით მავსებს, იმიტომ, რომ ჩვენ ამით თითქოს სიმბოლურად გამოვხატავთ საბჭოთა და იუგოსლავიელი ხალხების ძმურ მეგობრობას.

მახინჯაურელებმა სტუმარ მეზღვაურებს დაუბარეს მხურვალე სალამი გადასცენ იუგოსლავიელ ხალხს.

ზ. ფუფუნავა.

ალრეკავებენ ნავსადგურს

სამ თვეზე მეტია ფოთის ნავსადგურში შემოსასვლელი ყელის, აკვატორიისა და მისადგომების ფსკერის გაღრმავებაზე მუშაობს სპეციალური ქარავანი, რომლის შემადგენლობაშია მიწისსწოვი „ფრუნზე“, გრუნტსაზიდი ნავები „ჩერნომორსკაია-6“, „ბუგი“ და ჯატერი „მზ-315“.

დიდი გამოცდილების მქონე ეკიპაჟები წარმატებით ძლევენ სიძნელეებს და გადამეტებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს. ამჟამად ქარავანი გაღრმავების სამუშაოებს ახალ მისადგომთან ეწევა. აქ უკვე ამოიღეს 98 ათასი კუბმეტრი გრუნტი, ხოლო მომდინარე წლის ბოლომდე დამატებით ამოიღებენ 100 ათას კუბმეტრს.

ქარავნის ეკიპაჟებთან მეგობრობენ ფოთელი ნავსადგურელები. ისინი ეკიპაჟებს წერენ ინფორმაციებს, აწვდიან ახალ ჟურნალ-გაზეთებს, უჩვენებენ კინოფილმებს.

კ. კოშახიძე.

მკითხველის კალმით

ზესტაფონი. ნაყოფიერად მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. სებუა, ხოლო ქორეოგრაფი ს. ხაჭაპურიძე. მეტალურგთა ანსამბლის რეპერტუარშია ქართული ხალხური და კლასიკური, რუსული და საზღვარგარეთული სიმღერები, ქართული ხალხური ცეკვები.

პ. ბელიძე.

ონი. ქართული თეატრის დღის აღსანიშნავად თეატრალური სტუდიის ახალგაზრდა მონაწილეებმა საჩვენებელი საღამო გამართეს ონის სახალხო თეატრის სცენაზე. წარმოდგენილ იქნა გიგო ხეჩუაშვილის ერთმოქმედებიანი დრამა „პაატა“. პროგრამაში იყო აგრეთვე მხატვრული კითხვა, სიმღერა, ცეკვა, ეტიუდები. სტუდიის წევრებმა მაყურებლებს უჩვენეს ყაკაი წერეთლის ერთმოქმედებიანი კომედია „ბუტიაობა“. ონელმა მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს სტუდიის ახალგაზრდობის მიერ გამართული საღამო.

დ. ხახიაშვილი,
ნ. დუშუაშვილი.

ტყიბული. სოფელ ხრესილში აგუშავადა ახალი რადიოკავშირი. სოფლის ცენტრში დაიდგა ხმამაღლა მოლაპარაკე. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კოლმეურნეთა ბინების რადიოფიკაცია.

ვ. საბელაშვილი.

„სელტიკი“ თბილისში

თბილისი დიდი ფეხბურთის „მოლოდინშია. მატჩი გლაზგოს „სელტიკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის საერთო ყურადღებას იპყრობს. მეტოქეები მეორეჯერ ხვდებიან ერთმანეთს. ამ მატჩმა უნდა გამოავლინოს ერთ-ერთი ნახევარფინალისტი ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში.

„სელტიკის“ შესახვედრად გუშინ აეროპორტში მოვიდნენ ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობა, ჟურნალისტები, ფეხბურთის მოყვარულები.

შებინდდა. „კარაველას“ თვითმფრინავი ჩვენს მიწაზე დაეშვა. სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. გარდა 17 ფეხბურთელისა, „სელტიკის“ შემადგენლობაში რომ შედიან, შოტლანდიიდან ჩამოფრინდნენ სპორტული მიმომხილველები, ფოტორეპორტიორები, „სელტიკის“ გულშემატკივარი ტურისტები.

გლაზგოელ ფეხბურთელებს თბილისში ნაცნობებიც აღმოაჩნდათ. ესენი იყვნენ მათი მატოქეები — კიევის დინამოელები. სელტიკის მწვრთნელ ჯონ სტეინსა და კიევის „დინამოს“ უფროს მწვრთნელ ვ. მასლოვს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. ჩვენს სტუმრებს მოსწონთ თბილისური ამინდი.

ჯონ სტეინი ჟურნალისტთა გარემოცვაში მოჰყვა. იგი გვიამბობს: გამიგია, თბილისი, სადაც ჩვენი ბიჭები პირველად არიან, დიდი სპორტული ტრადიციის ქალაქია. ეჭვი არ მეპარება, რომ აქ ალბათ ისევე უყვართ ფეხბურთი, როგორც შოტლანდიაში.

გლაზგოს მატჩის შედეგი თქვენთვის ცნობილია. ახლა დღის წესრიგში დგას მეორე მეოთხედფინალური შეხვედრა. ბუნებრივია, ჩვენს მეტოქეს, რომელმაც გლაზგოში წარუმატებლობა იგემა, განწარახული იქნება რევანშის აღება. წინასწარ აზრის გამოთქმა მომავალი პაექრობის შედეგზე მიძნელდება, მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ „სელტიკი“ გიჩვენებთ კარგ ფეხბურთს.

დაგვარწმუნებთ ჩამოსვლა გამოწვეული იყო ჩვენი საშინაო ჩემპიონატის კალენდრით. ცხადია, გაინტერესებთ შემადგენლობა. ძირითადი ბირთვი იგივე იქნება, რაც გლაზგოში, და თუ მაინც მთლიანად ვერ ვასახელებ თერთმეტ კაცს, ეს გამოწვეულია იმით, რომ ორი-სამი მოთამაშე კარგად ვერ გრძნობს თავს, მათი მდგომარეობა გამოირკვევა ვარჯიშის შემდეგ.

როგორც კი მოვეწყობით სასტუმროში, მაშინვე გავემგზავრებით სტადიონზე. ვარჯიში გვექნება დღეს საღამოს და ხვალ, 25 იანვარს დილით. გვაპატიეთ, რომ გტოვებთ, მიგვიჩქარება. ჩვენი გულთბილი სალამი გადაეცით თქვენს მკითხველებს.

ვ. გაბელია.

• • •

სურათებზე: ზემოთ — გლაზგოს „სელტიკის“ ფეხბურთელები თბილისის აეროპორტზე; ქვემოთ — „სელტიკის“ გუნდი ვარჯიშობს „დინამოს“ სტადიონზე.

ფოტოები ვ. გინზბურგისა, ბ. დადვაძისა და მ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოკორესპონდენტი).

ჰოლანდიელთა გამარჯვება

ევროპის ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში

გასულ კვირადღეს ჰოლანდიის უძველეს ქალაქ დელფტერში დაუშვეს ევროპის ჩემპიონატის ალამი ჩქაროსნულ ციგურაობაში.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით პირველი დღის შედეგებზე. ორი დისტანციის (500 და 5.000 მეტრი) შემდეგ წინ იყო ჰოლანდიელი ალრ შენინი. მომდევნო სამი ადგილი იჭიერთ — ვ. კაპლანს (სსრ კავშირი), ბ. შირკჰრძს (ჰოლანდია) და ე. მატუსევიჩს (სსრ კავშირი).

•ყველაფერი უნდა გადაეწყვეტა 23 იანვრის პაექრობას 1.500 და 10.000 მეტრზე რბოლაში. 1.500 მეტრზე კვლავ წარმატებით გამოვიდა ალრ შენინი, რომელმაც ამ დისტანციაზე არა მარტო პირველი ადგილი დაიკავა, არამედ მსგავსი საციგურაობის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა ე. მატუსევიჩს. 10.000 მეტრზე ჩქაროსნულ ციგურაობაში ძირითადი ბრძოლა ნორვეგიელ შრიდ-ანტონ მაიერსა და შვედ ინონ ნილსონს შორის მიმდინარეობდა. ფინიშთან წარმატება ნილსონს ხვდა.

ევროპის ამპოლუტური ჩემპიონი გახდა 21 წლის ჰოლანდიელი მოციგურავე ალრ შენინი. მეორე ადგილიც მის თანამემამულეს ეპერს შირკჰრძს ხვდა. საბჭოთა მოციგურავე ვ. კაპლანი მესამე იყო. მეოთხე ადგილზე გამოვიდა ი. ნილსონი, მეხუთეზე — შ. მაიერი, მეექვსეზე — ევროპის ჩემპიონი ე. მატუსევიჩი.

ბ. ფაქაძე — უძლიერესი

ბოლონეთში გაიმართა „მფრინავ მოთხილამურეთა“ დიდი საერთაშორისო ტურნირი ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ბოლონეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობით. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა საბჭოთა ტრამპლინიდან მხტომელი კობა ფაქაძე, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

ქვლავ წარმატება

დელი, 24 იანვარი. (საქდესი). ინდოეთის ჩოგბურთის მოედანში ბედნიერი გამოდგა სსრ კავშირის ჩემპიონის ესტონელი ტ. სოომესათვის. სოომემ გამარჯვება მოიპოვა ჯერ კალკუტისა და დელის დიდ საერთაშორისო ტურნირებში, ახლა კი პირველი ადგილი დაიკავა ინდოეთის დიდ ჩემპიონატში ქალაქ ტრივანდრუმის მიწის კორტებზე.

თბილისელმა სტუდენტმა ალექსანდრე მეტრეველმა მოიგო ვაკეთა ასპარეზობა, გადაამეტებინა შეხვედრაში დაამარცხა ბერძენი ჩოგბურთელი ნიკ კალოგეროპულოსი ანგარიშით 7:5, 2:6, 6:8, 6:2, 6:1.

სან-პაულოში

რიო-დე-ჟანეირო. (საქდესი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, პირდაპირ სან-პაულოში ჩაფრინდა, რადგან რიო-დე-ჟანეიროს რაიონში ამას წინათ წყალდიდობა იყო და ცნობილი „მარაკანის“ სტადიონი ახლა დათმობილ აქვთ ლტოლვილებს.

25 იანვრისათვის დანიშნულია სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შეხვედრა კლუბ „კორინთასის“ ფეხბურთელებთან. შემდეგ 30 იანვარს გაიმართება მატჩი „ფლამენგოსთან“ ან „პალმეიასთან“. თბილელის დამდეგს საბჭოთა ფეხბურთელები მონაწილეობას მიიღებენ ქალაქ ბელო ორიზონტში გამართულ ტურნირში, სადაც გამოვლენ აგრეთვე „ფლამენგო“, „ატლეტიკო“ და „კრუზეირო“. ბრაზილიაში ყოფნის დასასრულს ჩვენი ნაკრები, შესაძლოა, 9 თებერვალს ეთამაშოს „ფლამენგოს“ რიო-დე-ჟანეიროში.

სპორტული ქრონიკა

☐ ლენინგრადისა და ჰელსინკის გუნდების ასპარეზობა მოტორბოლაში ყინულზე ტრადიციული შეჯიბრება გახდა. მორიგი ასეთი შეხვედრა გაიმართა ლენინგრადში და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 129:70.

☐ ახალ ზელანდიაში მძლეოსანთა მორიგ საერთაშორისო ასპარეზობაში ჰოკეთ სიმაღლეზე ხტომაში ჯ. კენელმა აჩვენა შედეგი 5 მეტრი და 12 სანტიმეტრი, რითაც დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი დახურული დარბაზისათვის.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.



დაგველთა სასახლე

ქობულეთი. (საკ. კორ.). დაგველთა წარმატებებზე ყველაზე ნათლად ის მეტყველებს, რომ კოლმეურნეობას 18 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს.

მარტო შარშან დაგველებმა მოკრიფეს 1.275 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, სახელმწიფოს ჩაბარეს 600 ტონამდე ციტრუსები. ბარაქიანმა მიწამ მშრომელებს გარჯა ასეცად დაუფასა. ამიტომაც არის, რომ კოლმეურნეობამ ავანსად შრომადღეზე სამი მანეთი გასცა.

დაგველთა შეძლებული ცხოვრება ამ დღეებში კიდევ უფრო დამშვენდა — ხარაჩოები ჩამოხსნეს კოლონადებიან და ქართული ორნამენტით შემკულ კულტურის სასახლეს. თეთრად მოქათქათე შენობის მოსაცდელი დარბაზი მოხატეს აჭარის მხატვრებმა. მაყურებელთა დარბაზი გათვალისწინებულია 600 აკაცისათვის.

სურათზე: კულტურის ახალი სასახლე დაგვაში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

ესტრადა •

ყვავლგან სიმღერა გაისმის

ესტრადას ხუმრობით მოგზაურთა ხელოვნებას უწოდებენ, რადგან საესტრადო მსახიობი სგგასტროლო მოგზაურობის გარეშე წარმოუდგენელია. ბოლო ხანებში ქართველ მსახიობებს ტაშს უკრავენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ხოლო ქართული ესტრადის ათეშები სულ უფრო და უფრო მეტ მაყურებელს აზიდავს. იმასაც ამბობენ, საქართველოს ფილარმონიის ზოგიერთი ანსამბლი თუ ცალკეული შემსრულებელი ჩვენში „საგასტროლოდ ჩამოდის და უფრო მეტ ხანს ჩვენი ქვეყნის გარეთ ატარებსო“.

დღეს თბილისში ესტრადის მოყვარულთა ზეიმია. თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში 22 იანვრიდან 1 თებერვლამდე მთელი კვირა ქართულ ესტრადას დაეთმო.

ქართული ესტრადის კვირეული ძერჟინსკის სახელობის კლუბში გახსნა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა კვარტეტმა „დიელომ“. მაყურებელმა გულთბილად მიიღო ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ს. მირიანაშვილის სიმღერას „საყვარელ ქუჩაზე“, „მოღის წვიმა“, გ. ცაბაძისა და ბ. კვერნაძის „თბილისის ღამე“, რომელიც კვარტეტთან ერთად მომღერალმა ნ. აბესაძემ შეასრულა.

„დიელომ“ შეცვლის საესტრადო ანსამბლი „თბილისის ესტრადის სალამო“. მაყურებელი ნახავს ნიჭიერ ახალგაზრდა კონფერანსიეებს: მ. ვიგიძისა და მ. ხერხეულიძეს, მომღერალს ვ. მაისურაძეს.

თბილისელებმა კვლავ მოუსმენენ რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ლ. გეგელიას და ინსტრუმენტულ ანსამბლ „ჩანგს“, რომელთან ერთად გამოვა გ. ჩოხელი.

ქართული ესტრადის დასასრულს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება დასკვნითი საღამო, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილ მსახიობებთან ერთად გამოვლენ რესპუბლიკის ცნობილი არტისტები. ს. ჯაფარიძე, გ. კიკნაძე, ა. გომიაშვილი.

ქართული ესტრადის კვირეული სასიამოვნო სიახლეა, რომელიც ტრადიციის დასაწყისად უნდა იქცეს.

ზ. რცხილაძე.

სურათზე: ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი „დიელო“. (მარცხნიდან) ა. ებრალიძე, გ. ლეონიძე, ს. ებრალიძე და ბ. კიკაბიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნაფარეულის ფვილობილი

თითქოს დილის მზის სხივებს შეჩყვარო თბილისის ვაკის სბავშვო სახლში გაზეთი „კომუნისტი“. საოცნებო დედის თვალებივით შეანათა სბავშვო სახლის აღზრდილს ვალენტინა ბელიაკოვას გაზეთის მეორე გვერდზე დაბეჭდილმა წერილმა — „ნაფარეულის ხვალინდელი დღე“.

გოგონა ჯერ მოგონებების ბურუსში ჩაძირა, შემდეგ მთელი შენობა და ყველა ოთახი შემოირბინა, ყველას სათითაოდ წაუკითხა წერილი. იცინოდა, ტიროდა, ოცნების თვალით გაჰყურებდა ლამპიონებით გაჩირაღდნებულ სოფლის მოასფალტებულ გზებს, კულტურის სახლს, თანამედროვე სტილით ნაგებ საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონებს, ქუჩის პირას აშრიალებულ ვერხვების რიგს.

— ჩემი სოფელი, ჩემი ნაფარეული... ჩემი დედა, მამა... იქნებ ნათესავებიც მყავს: დები, ძმები?! სიხარულისა და სიამოვნების ურუანტელმა დაუარა ტანში და გოგონამ დიდი ხნის ნაოცნებარი ქალაქლიფტე გადაიტანა:

— სალამი ძია ზ. ხოლუაშვილს!

— მე, ვალენტინა ნიკოლოზის ასული ბელიაკოვა, დავიბადე 1946 წლის 15 იანვარს, არ ვიცი სად. ფეხი რომ ნაფარეულში ავიდგი და პირველი სიტყვა მანდ ვისწავლე, ეს კარგად ვიცი, დედა—მარიამ სიმონის ასული ბელიაკოვა ნაფარეულის კოლმეურნეობაში მუშაობდა. მამა არ მახსოვს. დედა ფილტვების ანთებით გახდა ავად და გარდაიცვალა. დავრჩი მარტო. კეთილმა მეზობლებმა ჯერ კოჯრის სბავშვო სახლში მიმიყვანეს, შემდეგ გადამიყვანეს სოფელ გაზლოვანის სბავშვო სახლში, ახლა თბილისის სბავშვო სახლში ვარ.

დავამთავრე საშუალო სკოლა წარჩინებით, სწავლის გაგრძელებას ვაპირებ სამედიცინო ინსტიტუტში.

ახლა, როცა ჩემი სოფლის ხვალინდელი დღის შესახებ წერილს კითხულობ, კიდევ უფრო მიცხოველდება ნათესავების პოვნის სურვილი. სბავშვო სახლის აღსაზრდელებს თითქმის ყველას ჰყავს თუ მშობლები არა, ნათესავები მაინც. ერთადერთი, რომელზეც შეიძლება ითქვას, არავინ არა ჰყავსო, მე ვარ.

არა. როგორ არა მყავს! ჩემი დედაც და მამაც მშრომელი ხალხია, ჩემი აღმზრდელი მასწავლებლები, რომლებმაც ამდენი ამაგი გასწიეს ჩემზე, გამზარდეს და ცხოვრების გზაზე დამაყენეს...

ოცნებად მაქვს გადაქცეული უმაღლესის დამთავრებისთანავე ჩემს სოფელს მივგზავრო.

ძია, ძალიან გთხოვთ დამეხმაროთ, მაძიებინოთ ნათესავები. თქვენი ვ. ბელიაკოვა.

გოგონამ სათუთად დაკეცა წერილი, კონვერტში ჩადო და ლამაზად დაწერა: ნაფარეული. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ხოლუაშვილს.

ეს იყო 1965 წლის ივლისში.

ნაფარეულის სოფსაბჭოს თავმჯდომარე ზიზი ხოლუაშვილი მღელვარებისაგან ცრემლებს ვერაფერ იკავებდა. პატარა ნინო და მანანა გაოცებული შეჰყურებდნენ აცრემლებულ დედას. გოგონებს დედა მხოლოდ მოღიმარი და ბრიალული ენახათ და ახლა ცრემლების დანახვაზე თვითონაც ატირდნენ.

— ჩემი გოგო, ჩემი მესამე შვილი, — ჩურჩულებდა აღელვებული „ძია“ ზიზი ხოლუაშვილი და გულში იხუტებდა თავის პრიმშოებს ნინოსა და მანანას. შემდეგ ორივეს ყურადღება მიიპყრო და უთხრათ:

— ვალენტინა ბელიაკოვა — ვა-ლი-ა! ის თქვენი მესამე დაა...

საღამოს უკვე ყველამ იცოდა ნაფარეულში სოფლის ახალი წევრის ამბავი.

— კარგია, — თქვა ნაფარეულის უხუცესმა ბაბა გიორგიმ. — იმატოს ჩვენმა სოფელმა. იმ ბალღს ჩვენს სოფელში, თავის სოფელში სდომია ცხოვრება. მოდა, მოდით, სახლი ავუშენოთ. ჩვენი ზიზი ყოჩაღი ქალია, ის ჩაუდგება ამ საქმეს სათავეში.

ზიზიმ დაწვრილებითი ცნობები შეკრიბა უცნობი ბავშვოსფლელის შესახებ: გულისხმიერ ადამიანებს ფოტოსურათებიც კი შემოუნახავთ, სადაც პატარა ვალიაა აღბეჭდილი დედასთან და მეზობლებთან ერთად.

—ვალენტინა ბელიაკოვამ, როცა სბავშვო სახლის აღზრდილები და მასწავლებლები დაბადების დღეს ულოცავდნენ, ნაფარეულიდან ძვირფასი საჩუქარი მიიღო — დედის სურათი, დედა ზიზის გულთბილი წერილი და ნაფარეულელთა მიწვევა—ჩამოდი შენს შობლიურ სოფელშიო.

დედის სითბოს მოკლებული გოგონა თითქოს მეორედ დაიბადა. ნაფარეულში ღვიძლი შვილივით მიიღეს. შემოდგომის ნატიფი ფერებით დახატული სოფელი, დედა სონიას ტკბილი მოგონებები დედაზე, ბავშვობის წლებზე, მისი ხელებით დამზადებული გემრიელი საუზმე, და სადილები, სწორედ ისეთები, როგორც სბავშვო ბაღში უყვარდა ვალიას, ყოფილი მასწავლებლები, ამხანაგები...

ვალიას ზღაპარში ჭგონია თავი.

ახლა იგი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტია, მაგრამ რომ არ ყოფილიყვნენ სონია ცირეკიძე, თამარ კუსტაშვილი, ქეთევან მთვარელიშვილი, ზიზი ხოლუაშვილი, სბავშვო სახლის მზრუნველი პედაგოგები, ვინ იცის, ვინ იქნებოდა ის, განიცდიდა თუ არა ასეთ ადამიანურ ბედნიერებას?

მაგრამ რა დალევს მათ, კეთილ ადამიანებს!

ოთხ დღეს დარჩა ვალია ნაფარეულში. მგელელი გაიხარეს მისმა ბავშვობის მეგობრებმა ზაირა ცირეკიძემ, ნუნუ ფურცელაძემ, ნელი მელაშვილმა, ალექსი გურასპაშვილმა... 18 წლის წინათ ისინი ჩიტის ბუდეების ჩამოსაშლელად დადვრებოდნენ. ახლა ისინი მასპინძლები არიან, სიამაყით აცნობენ მომავალ ფარმაცევტს სოფლის ახალშენებლობებს. აქ კლუბი უნდა ავაგოთო, იქ აფთიაქი, საავადმყოფო, უნივერსალური მაღაზია, პავილიონები...

ვალიაც ამაყობს მათთან ერთად. ამაყობს, რადგან იცის, რომ ნაფარეულელებმა იგი ახალი აფთიაქის პროგიზორად გაითვალისწინეს. ვალია ემზადება დიდი ცხოვრებისათვის, ხურს ღირსეულად ამოუდგეს მხარში სახელოვან თანასოფლელებს.

ს. ქოჩლაძე,
მ. ზაალიშვილი.

ნაფარეული, თელავის რაიონი.

• • •

სურათზე: ნაფარეულის სასოფლო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე ზიზი ხოლუაშვილი და სოფლის შვილობილი ვალენტინა ბელიაკოვა.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1966 წლის 9 თებერვალს დღის 11 საათზე საალტო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლევან დავითის-ძე სანიკიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე „**აღმოსავლეთის საკითხი რომის რესპუბლიკის ისტორიაში (200-60 წწ. ძველი წელთაღრიცხვით)**“.

9 თებერვალს დღის 2 საათზე № 59 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 36) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი კლატონის-ძე ბასილაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**წარმოების ავტომატიზაციის ეკონომიური პრობლემები საქართველოს სსრ მრეწველობაში**“.

9 თებერვალს დღის 2 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნათელა ესტატეს ასული ციციშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**საშუალო სკოლაში რაოდენობის აღნიშვნის პირობითობის წვდომის საკითხისათვის**“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

„დინამოს“ სტადიონი

აკ. წერეთლის პროსპ. № 2
ტელ. 5-21-62

26 იანვარს

ფეხბურთი

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება.

„სელტიკი“ გლაზგო (შოტლანდია) — „დინამო“ კიევი

დასაწყისი 18 საათზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 25 იანვარს ყველა სახის ამორემენტებზე 11-დან 18 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 26 იანვარს 10 საათიდან.

თეატრები

25 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი, რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — სიბრძნე სიცრუისა, მარჯანიშვილის სახელობის — მთაწმინდის მთვარე, ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შესანიშნავი სამეული.

ტელევიზია

25 იანვარი

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — მხატვრული ფილმი „ულუგბეკის ვარსკვლავი“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — „სკოლების დასახმარებლად“, 18.40 — საუბარი — „რაციონალურად გამოვიყენოთ დამზადებული საკვები“, 19.00 — ახალი წიგნები, 19.10 — კინონარკვეი, 19.20 — საესტრადო კონცერტი, 20.00 — „მსოფლიო დღეს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.50 — მხატვრული ფილმი „ულუგბეკის ვარსკვლავი“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 26 იანვრისათვის, 23.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „თეატრალური შეხვედრები“ — მამები და შვილები (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 12.00-14.05 და 17.45-00.50 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

26 იანვარს

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან. ერთმანეთს ხვდებიან გლაზგოს „სელტიკი“ და კიევის „დინამო“, 19.45 — გადაცემა „ცის ლაკვარდში“, 20.05 — განცხადებები, 20.10 — კონცერტი, 20.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.50 — მხატვრული ფილმი „ოქროს კბილი“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 27 იანვრისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ეთერშია ახალგაზრდობა „ორბიტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 12.00-13.30 და 17.55-00.30 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

ჩაბ ვიკასოთ, ჩაბ ეოვისეილოთ

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9 98 03, 9-09-09, ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9 87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8 20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46 საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8 27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9 55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-28 54, განცხადებების — 8-98 96.

ჩვენი ბისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 01427

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.